

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

თბილისი. ივნისი. 2023

№34

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

„ნანინა“ 20 წლისაა

ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგები
ნინო ციციშვილი

„იუნესკოს კულტურული სივრცეების პროექტი“ –
საერთაშორისო ოჯახის შეხვედრის ადგილი

ერთი რეგიონული ანსამბლი
ფოლკლორული ანსამბლი „მესხეთი“

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ
„ქართული პოლიფონიით მიღებული შთაბეჭდი-
ლებები ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს“...

ქართული სიმღერის მოამბეები
ბეგლარ და ქიონია აკობიები

ანსამბლ „იალონის“ ტურნე დიდ ბრიტანეთში

წერილები არქივიდან
ბუკუ ლოლუა
„ცოტა რამ ჩვენ ხალხურ სიმღერებზე“

ერთი სიმღერის ისტორია
„ქალო, ქალთა მზეო“

სიმღერა „ქალო, ქალთა მზეო“

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(იანვარი-ივნისი, 2023)

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(იანვარი-ივნისი 2023)

ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები

22.04.2023 – 2.06.2023 – აჭარაში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადი ჩატარდა.

24.04.-9.05.2023 – თბილისში თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა.

25.04-13.05.2023 – საქართველოს საგუნდო საზოგადოების ორგანიზებით საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-7 ეროვნული კონკურსი გაიმართა.

1-2.05.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის პირველი ფესტივალი „ნანინა“ ჩატარდა.

19.05.2023 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა.

20.05.2023 – კისისხევის კულტურის სახლში ქართული ტრადიციული მუსიკის ფესტივალი „მშობლიური ხმები“ გაიმართა.

12.06.2023 – გალობის უნივერსიტეტში მანანა ანდრიაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.

27.01.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გიორგი სვანიძის წიგნის – „ქართლური ხალხური სიმღერები“ – პრეზენტაცია გაიმართა.

31.01.2023 – ზუგდიდში ანსამბლ „ჩელას“ აუდიოალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

20.02.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა წიგნის – „ქართული ხალხური სიმღერების კრებული – რობერტ გოგოლაშვილის საექსპედიციო მასალები“ – პრეზენტაცია.

21-23.02.2023 – ბათუმში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, ლოტბარებისა და ქორეოგრაფებისათვის ტრენინგები ჩატარდა.

22.02.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში – გაიმართა პრეზენტაცია ტიმოთი რაისის წიგნის – „ეთნომუსიკოლოგია, ძალიან მოკლე შესავალი“ – თარგმანისა და ფოლკლორის ცენტრის ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალისა „ქართული ფოლკლორი“.

6.03.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთან, გიორგი მუკბანიანთან შეხვედრა გაიმართა.

13.03.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა შეხვედრა იაპონელ ქართველოლოგ, ჰაიატე სოტომესთან.

15.03.2023 – გალობის უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა ბულატ ხალილოვთან და თემურ კომოკოსთან.

17.03.2023 – ფოლკლორის ცენტრში ხულოს მუნიციპალიტეტში ჩატარებული ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.

22.03.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ანსამბლ „თუთარჩელას“ ხელმძღვანელთან, თამარ ბუაძესთან შეხვედრა გაიმართა.

4-6.04.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში რაჭული ცეკვის მასტერკლასები ჩატარდა.

7.04.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ ახალი აუდიოალბომის – „ნანინას დიდი ოჯახი – ამღერებული შთამომავლობა“ – პრეზენტაცია.

10.04.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ეთნომუსიკოლოგ ლევან ვეშაპიძესთან შეხვედრა გაიმართა.

12-22.04.2023 – ეთნომუსიკოლოგმა ნინო ნანეიშვილმა თბილისში, კახეთში, სამეგრელოსა და სვანეთში მასტერკლასები ჩაატარა.

25.04.2023 – აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში გურული სიმღერის მასტერკლასი ჩაატარა ტრისტან სიხარულიძემ.

29.04.2023 – „თამარას სივრცეში“ გაიმართა ეთნომუსიკოლოგ ოთარ კაპანაძის ლექცია თემაზე: „ქართული სამუსიკო ფოლკლორი დღეს“

10.05.2023 – თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში მალხაზ ერქვანიძის მასტერკლასი ჩატარდა.

11.05.2023 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში წმ. ექვთიმე აღმსარებლის სამეცნიერო სემინარი ჩატარდა.

15.05.2023 – გალობის უნივერსიტეტში გაიმართა ეთნომუსიკოლოგ ქეთევან ბაიაშვილის ლექცია თემაზე: „ფოლკლორი ძველ საქართველოში და დღეს“

22.05.2023 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ლექცია და მასტერკლასი ფინური მუსიკის შესახებ.

23.05.2023 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა რიკა პატრიკაინენის ლექცია თემაზე: „კარელიური და ბერძნული დატირებების ეთნოგრაფია“.

24.05.2023 – გალობის უნივერსიტეტში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „ფინელი საეკლესიო მუსიკოსების მსახურების ასპექტები ფინურ მართლმადიდებლურ ეკლესიაში“.

25.05.2023 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „დღევანდელი ფინეთის საეკლესიო მუსიკის ტრადიციები“.

30.06.2023 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა წმ. ექვთიმე აღმსარებლის სახელობის სამეცნიერო სემინარი.

კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები...

11.01.2023 – თბილისში, ორბელიანის მოედანზე, საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, ფოლკლორული კონცერტი გაიმართა.

27.01.2023 – სამეზობლო საპატრიარქო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში ხურვალიეთის მოხუცებულთა თავშესაფრის დასახმარებლად საქველმოქმედო ფოლკლორული კონცერტი გაიმართა.

2.02.2023 – ამბროლაურში ექვთიმე კერესელიძის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.

27.02.2023 – ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში პროექტის - „ვუმდეროთ თანატოლებს“ – ფარგლებში პირველი ფოლკლორული კონცერტი ჩატარდა.

14.03.2023 – ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის დარბაზში დიმიტრი არაყიშვილის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებული გამოფენა გაიხსნა.

24.03.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ხონისა და თელავის სალოტბარო სკოლების მოსწავლეების კონცერტი გაიმართა.

24.03.2023 – სამეზობლო ახალგაზრდულ ცენტრში უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა.

30.03.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ქარელისა და ვანის სალოტბარო სკოლების მოსწავლეების კონცერტი გაიმართა.

2.04.2023 – ხონში ხონის სალოტბარო სკოლისა და ანსამბლ „ბიჭების“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

5.04.2023 – ქედის კულტურის ცენტრში საერთაშორისო ფოლკლორული მუსიკის კონცერტი ჩატარდა.

5.04.2023 – ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ოზურგეთის, სენაკის, აბაშის და ფოთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეების კონცერტი გაიმართა.

7.04.2023 – ანსამბლმა „იალონმა“ დუშეთში კონცერტი გამართა.

13.04.2023 – ანსამბლმა „რუსთავმა“ თბილისის საკონცერტო დარბაზში, ბერი ანდრეას საქველმოქმედო ფონდის მხარდასაჭერად, კონცერტი გამართა.

18.04.2023 – ანსამბლმა „იალონმა“ ცაგერში სოლო კონცერტი გამართა.

28.04.2023 – ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში „ვუმდეროთ თანატოლებს“ პროექტის ფარგლებში ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეების კონცერტი გაიმართა.

3.05.2023 – ანსამბლმა „იალონმა“ გრიბოედოვის თეატრში სოლო კონცერტი გამართა.

4.05.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ზესტაფონის და ყვარლის სალოტბარო სკოლების კონცერტი გაიმართა.

9.05.2023 – ანსამბლმა „სათანაომ“ კონდოლში სოლო კონცერტი გამართა.

10.05.2023 – გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმში ოზურგეთის, შუახევის, ბათუმის, ქობულეთისა და სამტრედიის სალოტბარო სკოლის მოსწავლეების კონცერტი გაიმართა.

12.05.2023 – ანსამბლმა „სათანაომ“ მარტყოფში სოლო კონცერტი გამართა.

16.05.2023 – ანსამბლმა „სათანაომ“ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სოლო კონცერტი გამართა.

19.05.2023 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ფოლკლორული კონცერტი გაიმართა.

19.05.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ანსამბლმა „თუთარჩელამ“ მსოფლიო ხალხთა ფოლკლორის კონცერტი გამართა.

20-21.05.2023 – თბილისის საკონცერტო დარბაზში ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტები გაიმართა.

21.05.2023 – ბაღდათში ბაღდათისა და ხონის სალოტბარო სკოლების კონცერტი გაიმართა.

21.05.2023 – ანსამბლმა „დიდგორმა“ კონცერტი გამართა ქობულეთში.

22.05.2023 – ანსამბლმა „დიდგორმა“ კონცერტი გამართა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისში.

23.05.2023 – ანსამბლმა „დიდგორმა“ კონცერტი გამართა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილებში.

23.05.2023 – ხარაგაულში ხარაგაულის, ახალციხის, სამტრედიისა და ზესტაფონის სალოტბარო სკოლების კონცერტი გაიმართა.

24.05.2023 – ანსამბლმა „დიდგორმა“ კონცერტი გამართა ხულოში.

25.05.2023 – ანსამბლმა „დიდგორმა“ კონცერტი გამართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწყალში.

27.05.2023 – ბორჯომში ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინასა“ და ფოლკლორულ ანსამბლ „მზეშინას“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

28.05.2023 – ახალციხეში ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინასა“ და ფოლკლორულ ანსამბლ „მესხეთის“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

29.05.2023 – ანსამბლმა „ბოლნელამ“ ყაზბეგში სოლო კონცერტი გამართა.

31.05-1.06.2023 – ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „მართვემ“ ოზურგეთსა და ბათუმში სოლო კონცერტები გამართა, რომლებიც „მართვეს“ დაარსებიდან 45 წლის იუბილეს მიეძღვნა.

2.06.2023 – თორაძის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტი გამართა.

5.06.2023 – აჭარის სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „არსიანი“ რუსთაველის თეატრში სოლო კონცერტი გამართა.

19.06.2023 – თეთრიწყაროში ანსამბლმა „ბოლნელამ“ სოლო კონცერტი გამართა.

22.06.2023 – კულტურის ცენტრ „მუზაში“ მგალობელ-მომღერალთა ანსამბლ „ფერხისას“ კონცერტი გაიმართა.

24.06.2023 – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა საქველმოქმედო ფოლკლორული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „ბინული“, „შავნაბადა“, „პატარა კახი“, „გურჯაანი“, ფოლკლორის ეროვნული სკოლის ანსამბლი“ და სხვა.

25.06.2023 – გ. ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „მართვემ“, და მასთან არსებულმა სტუდია „თეატრალმა“ ფოლკლორული სპექტაკლის „მუდამ ქართული“ პრემიერა გამართეს.

26.06.2023 – რუსთაველის თეატრში სამების საპატრიარქო ტაძრის გუნდის კონცერტი გაიმართა.

29.06.2023 – ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ანსამბლ „რეხეულის“ შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

30.06.2023 – სამების ახალგაზრდულ ცენტრში ანსამბლ „სამების“ სოლო კონცერტი გაიმართა.

გასტროლები

9-12.02.2023 – მგალობელ მომღერალთა ანსამბლმა „რიხმა“ მონაწილეობა მიიღო პოლონეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში „მართლ-მადიდებელ ახალგაზრდათა ერთობის დღეები“.

12-15.02.2023 – ანსამბლმა „რუსთავმა“ ბერლინში, ვარშავასა და ჰამბურგში კონცერტები გამართა.

15.02.2023 – ანსამბლმა „მე რუსთველმა“ ლიეტუვაში სოლო კონცერტი გამართა.

26.02.2023-5.03.2023 – ანსამბლმა „მუსიკელმა“ ლატვიაში და ლიეტუვაში კონცერტები გამართა.

6.03.2023 – ანსამბლმა „რუსთავმა“ ITB Berlin 2023-ის გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

15-17.03.2023 – ნინო ნანეიშვილმა და ანსამბლმა „იალონმა“ ფინეთში ქართული სიმღერის მასტერკლასები ჩაატარეს.

18.03.2023 – ანსამბლმა „იალონმა“ ფინეთში კონცერტი გამართა.

15.04.2023 – ანსამბლმა „მე რუსთველმა“ პოლონეთში სოლო კონცერტი გამართა.

21.04.2023-27.04.2023 – ანსამბლმა „ბასიანმა“ ფინეთში, ესტონეთში, ლატვიაში, პოლონეთსა და გერმანიაში კონცერტები გამართა.

3-7.05.2023 – ანსამბლმა „ბასიანმა“ სამხრეთ კორეაში აზიის ბანკის მიერ დაგეგმილ ყოველწლიურ საზეიმო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

10.05.2023-23.05.2023 – ანსამბლებმა „იალონმა“ და „მუსიკელმა“ დიდ ბრიტანეთში კონცერტები და მასტერკლასები ჩაატარეს.

25-28.05.2023 – ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა სტუდია „ამერ-იმერმა“ ლიეტუვაში ფესტივალ „სკამბა სკამბა კანკლიაი“-ში მიიღო მონაწილეობა.

26.05.2023 – ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა სტუდია „ამერ-იმერმა“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ვილნიუსში კონცერტი გამართა.

26.05.2023 – ანსამბლმა „მუსიკელმა“ რიგაში სოლო კონცერტი გამართა.

28.05.2023 – ანსამბლმა „ბასიანმა“ სტოკჰოლმში კონცერტი გამართა.

31.05.2023 – ანსამბლმა „ბასიანმა“ ინსბრუკში კონცერტი გამართა.

1.06.2023 – ანსამბლმა „შავნაბადამ“ დანიაში კონცერტი გამართა.

19-20.06.2023 – ნინო ნანეიშვილმა ფინეთში ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები ჩაატარა.

19-21.06.2023 – ანსამბლმა „გორდამ“ და ნინო ნაყურმა პარიზში კონცერტები გამართეს.

ექსპედიციები

6.01.2023 – ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი ხოფის რაიონის სოფელ სარფში იმყოფებოდა ექსპედიციაში.

13-16.03.2023 – სანდრო ნათაძე ექსპედიციით იმყოფებოდა აზერბაიჯანლებით დასახლებულ სოფლებში: ქეშალო, სადახლო და გაჩაღანი.

19.04.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები თამარ მამალაძის ნაკვალევზე ექსპედიციით იმყოფებოდნენ სოფლებში: კარალეთი, რეხა, ბერბუკი.

21.04.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები თამარ მამალაძის ნაკვალევზე ექსპედიციით იმყოფებოდნენ სოფლებში მეჯვრისხევსა და ხელთუბანში.

4.05.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები თამარ მამალაძის ნაკვალევზე ექსპედიციით იმყოფებოდნენ სოფლებში ბერშუეთში, ტყვიავსა და ატენში.

14-23.05.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომელი, სანდრო ნათაძე ექსპედიციით იმყოფებოდა აზერბაიჯანლებით დასახლებულ სოფლებში: ქეშალო, იორმუღანლო, მარნეული, ქაფანახჩი, ჭაპალა, მარნეული, მამხუთი, ამამლო, ბოლნისი.

9.06.2023 – ეთნომუსიკოლოგი მაია გელაშვილი ექსპედიციით იმყოფებოდა ჩოხატაურის რაიონში – გურამ ბერძენიშვილთან და სოფელ ვანში – ციხო იმედაიშვილის ოჯახში.

გამოცემები

ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითა ჯგუფმა „ნანინამ“ ახალი აუდიოალბომი – „ნანინას დიდი ოჯახი – ამღერებული შთამომავლობა“ გამოსცა.



ანსამბლმა „იალონმა“ ქრისტეშობის საგალობლების ახალი აუდიოალბომი გამოსცა.



ფოლკლორულმა ანსამბლმა „ჩელამ“
აუდიოალბომი გამოსცა.



მომზადდა *სოფიკო კოტრიკაძემ*

„ნანინა“ 20 წლისაა

2023 წელს, ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნანინას“ ჩამოყალიბებიდან 20 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღი ჯგუფმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებით აღნიშნა. სანამ ამ ღონისძიებებს შევხებით, გვინდა, „ნანინას“ მოკლე ისტორია გაგაცნოთ.

ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ნანინა“ 2003 წელს, თბილისში ჩამოყალიბდა, თეა კასაბურის ხელმძღვანელობით. მისი მთავარი მიზანი ქალთა რეპერტუარის მოძიება-შესწავლა-კვლევა-გამომზეურება იყო. ანსამბლის წევრთა უმრავლესობა ეთნომუსიკოლოგია. მათ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ედიშერ გარაყანიძის, კუკური ჭოხონელიძის, იოსებ ჟორდანიას ხელმძღვანელობით დაამთავრეს და ფოლკლორის სფეროში საქმიანობა სასცენო შემსრულებლობაში აუთენტიკური ტენდენციების დანერგვის პერიოდში დაიწყეს. ქალთა ანსამბლ „მზთამზისა“ და მამაკაცთა ანსამბლ „მთიების“ კვალდაკვალ, რომლებიც ედიშერ გარაყანიძის ინიციატივით ჩამოყალიბდნენ, „ნანინამ“ გააგრძელა ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზება არააკადემიური მანერით, პირველწყაროსთან, შეძლებისდაგვარად, ახლოს, სიმღერების ექსპედიციებში მოძიება, ქალთა რეპერტუარის ყველა ჟანრის ნიმუშების შესრულება მათი შესრულების თავისებურებების დაც-

ვით (ცეკვით, ფერხულით, საკრავების თანხლებით) და ა.შ.

მოღვაწეობის 18 წლის მანძილზე, მათ ქალთა ტრადიციული მუსიკის ნიმუშთა მოძიების, შესწავლის, შესრულებისა და პოპულარიზების დიდი გამოცდილება დაუგროვდათ. 2021 წელს კი „ანსამბლის“ ბაზაზე შეიქმნა „ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფი“, მაკა ხარძიანის ხელმძღვანელობით, რომელმაც ორიენტაცია ქართული მუსიკალური ფოლკლორის და, განსაკუთრებით, ქალთა ტრადიციული მუსიკის კვლევაზე აიღო.

პირველი სერიოზული პროექტი – „ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის ფესტივალი „ნანინა“, რომელიც 1-2 მაისს ჩატარდა, ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ ინიციატივითა და ორგანიზებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა.



ამგვარი ფესტივალის პრეცედენტი პირველია საქართველოში. ქალთა ტრადიციული რეპერტუარის ასეთი მასშტაბის კვლევა კი ჯერ არ ჩატარებულა ქართულ ფოლკლორისტიკაში.

I ფესტივალის თემა იყო „აკვნის ნანა“. ვიწრო გაგებით, „აკვნის ნანა“ მოიცავს ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე არქაული ჟანრის – ბავშვის დასაძინებელი სიმღერების ნიმუშებს, ფართო გაგებით კი – აერთიანებს ქალის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენასთან – ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ ტრადიციებს, რიტუალებს, რწმენა-წარმოდგენებს, რომლებმაც ასახვა ჰპოვა ფოლკლორის ყველა დარგში.

ფესტივალი მოიცავდა საკონფერენციო, საპრეზენტაციო და საკონცერტო სეგმენტებს. სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული ეთნომუსიკოლოგიური, ეთნოლოგიური, ისტორიული, ლიტერატურული, მუსიკა-თერაპიული, ლინგვისტური ნაშრომები; ამგვარად, ქალთა ტრადიციული მუსიკის ჟანრის „აკვნის ნანის“ შესწავლა მოხდა მულტიდისციპლინური მეთოდით, რაც სიახლეა ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში; საპრეზენტაციო ნაწილში მოეწყო საქართველოს 14 კუთხეში შემორჩენილი, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული, მუსიკალურ-ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ტრადიციების ამსახველი ვიდეორგოლების ჩვენება; საკონცერტო ნაწილში მონაწილეობა მიიღო ქალთა 30-მა ანსამბლმა, როგორც თბილისიდან, ისე – რეგიონებიდან, ასევე – მოწვეულმა სტუმრებმა.

პირველი ფესტივალი მიემდგვნა აკვნის ნანების პირველი მკვლევრის, ცნობილი ეთნომუსიკოლოგის, ნინო კალანდაძის ხსოვნას, რომელიც ავტორია აკვნის ნანებისადმი მიძღვნილი პირველი ფუნდამენტური ნაშრომისა ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში. ესაა მისი სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული „ნანა“: ჟანრის, სემანტიკისა და არტიკულაციის საკითხები“, რომელიც სამაგიდო წიგნია ამ ჟანრით დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

ჯგუფი „ნანინა“ გეგმავს ფესტივალის ყოველწლიურად გამართვას და ქართველ ქალთა რეპერტუარის ყველა ჟანრის ეტაპობრივ გამომზეურებას (სამკურნალო, შრომის, ამინდის მართვის, საქორწილო, სამელოვიარო, საღადობო), ფესტივალზე დაგროვილი მასალის საფუძველზე კი – „ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის ანთოლოგიის“ გამოცემას, რაც ხელს შეუწყობს ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ამ მიმართულებით არსებული დანაკლისის შევსებას.

საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, ჯგუფმა „ნანინამ“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, გამოსცა აუდიოალბომი „ნანინას დიდი ოჯახი – ამღერებული შთამომავლობა“, რომლის პრეზენტაცია ა/წ 7 აპრილს ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა.

როგორც ცნობილია, ხალხური სიმღერა თაობიდან თაობაზე ზეპირი გადაცემის ტრადიციის წყალობით შემოგვრჩა დღემდე. თაობების ერთობლივი მუზიკირება ფოლკლორის ყოფაში არსებობის ყველაზე ბუნებრივი ფორმა და მუსიკალური ტრადიციების შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო. სწორედ ამას გულისხმობდა ანზორ ერქომაიშვილი, როცა ამბობდა: „სიმღერა რომ შეინახო – ბავშვებს უნდა ასწავლო!“ და ეს ღრმად ეროვნული სულისკვეთება იქცა ინსპირაციის წყაროდ და მთავარ იდეურ კონცეფციად პროექტისა „ნანინას“ დიდი ოჯახი – ამღერებული შთამომავლობა“. აუდიოალბომის მთავარი იდეა ტრადიციების დასაცავად თაობათა გაერთიანებას ეფუძნება. ოჯახური მუსიკირება ხომ ქართული მუსიკალური ფოლკლორის სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვანი გარანტია. „ნანინას“ ყველა წევრს მომღერალი ოჯახი ჰყავს, რომელთაგან თითოეული „ნანინას“ დიდი ოჯახის განუყოფელი ნაწილია.



აუდიოალბომის პრეზენტაცია

მეორე იდეა ისაა, რომ დღეს, როდესაც გვაქვს ახალი ტექნოლოგიები და მათი წყალობით შორი მანძილები ღილაკის ერთი დაჭერით იფარება, ჩვენ შეგვიძლია ერთობლივი მუსიკირება დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან. „ნანინას“ აუდიოალბომი ამ შესაძლებლობების რეალიზების მაგალითია. საქმე ისაა, რომ აუდიოალბომზე მუშაობა პანდემიის დროს დავიწყეთ, რისთვისაც საოჯახო ნომრები სახლის პირობებში, ცალკეული ხმების სახით ჩავწერეთ. ანსამბლის ზოგიერთი წევრი უცხოეთში იყო, რის გამოც მათ დისტანციურად მოუწიათ სიმღერა საქართველოში მყოფ ოჯახის წევრებთან და ჩვენთან ერთად. შემდეგ სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში ჩაწერილი ცალკეული ხმები პროგრამულად გავაერთ-

თიანეთ და დისტანციის მიუხედავად, მაინც ერთად ვიმღერეთ.

აღსანიშნავია, რომ „ნანინას დიდი ოჯახი – ამღერებული შთამომავლობა“ დისტანციური მეტოდიტ ჩაწერილი პირველი აუდიოალბომია ქართულ მუსიკალურ-ფოლკლორულ აუდიოსივრცეში.

„ნანინას“ მესამე პროექტი, „სიმღერით მოვიაროთ საქართველო“, რომელიც ჯგუფმა კვლავ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა, მოიცავდა ორ კონცერტს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, კერძოდ, ქალაქებში – ბორჯომსა და ახალციხეში, ადგილობრივ ანსამბლებთან და სალოტბარო სკოლების მოსწავლეებთან ერთად.



ანალოგიური პროექტი „ნანინას“ არაერთხელ განუხორციელებია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ის ემსახურება ქალაქური და რეგიონული ანსამბლების სხვადასხვა თაობების მიერ წინაპართა მემკვიდრეობის გაცოცხლებას და პოპულარიზებას ერთიანი ძალისხმევით. ამან ახალგაზრდებს უნდა გაუღვივოს საკუთარი ტრადიციული მუსიკის სიყვარული და იქცეს მისი გადარჩენისთვის სწრაფვის მოტივაციადა.

ჩვენთვის, როგორც ეთნომუსიკოლოგებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მრავალხმიანი სიმღერების აუღერება მესხეთის ტერიტორიაზე, სადაც ისტორიული ძნელბედობის – ომიანობის, გადასახლებების თუ რელიგიური შევიწროვების გამო, დაიკარგა ქართული მრავალხმიანობა.



ნამდვილი მესხური სიმღერა გადაშენებას ერთეულმა ადამიანებმა გადაარჩინეს. საბედნიეროდ, ბოლო ათწლეულებში ამ რეგიონში ფოლკლორული ცხოვრება გამოცოცხლდა და დაიწყო ერთხმიანად შემორჩენილი მესხური სიმღერების გამრავალხმიანება. ქალ მომღერალ-მგალობელთა ანსამბლი „მზეშინა“ ბორჯომიდან და მამაკაცთა ანსამბლი „მესხეთი“ ახალციხიდან, ორიენტირებულნი არიან მესხური ტრადიციული მუსიკის მოძიება-აღდგენა-პოპულარიზაციაზე, რაზეც, მათ მრავალფეროვან რეპერტუართან ერთად, ადგილობრივი სალოტბარო სკოლების მოსწავლეთა სიმრავლე და აქტიურობაც მეტყველებს.

ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფი „ნანინა“ აგრძელებს ტრადიციული მუსიკის სამსახურს და კიდევ არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელებას გეგმავს.

მაკა ხარბიანი

ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფი „ნანინას“ დირექტორი

ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგები ნინო ციციშვილი

ნინო ციციშვილი ავსტრალიაში მოღვაწე ქართველი ეთნომუსიკოლოგია. 1995 წლიდან, ის, თავის ოჯახთან ერთად, ავსტრალიის კულტურულ და სამეცნიერო დედაქალაქში, მელბურნში ცხოვრობს.

კომპოზიტორ გივი ციციშვილისა და მუსიკისმცოდნე მაყვალა გუგეშაშვილის შვილს, ნინოს, მუსიკალურობა გენებში ჰქონდა, მაგრამ, გარდა მუსიკისადმი სიყვარულისა, ადრეული წლებიდან აინტერესებდა წარსულის მეცნიერული კვლევა.



ნინო ციციშვილი

ნინოს გამოქვეყნებულ შრომებს შორის ძნელია, მოიძებნოს წმინდა ეთნომუსიკოლოგიური ნიმუში. მის ნაშრომებში, როგორ წესი, ეთნომუსიკოლოგია კვლევის მხოლოდ ერთი ასპექტია. სხვა ასპექტებია: სოციოლოგია, გენდერული პრობლემები, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ბიოლოგია, გენეტიკა, და ბოლო წლებში გამოხატული ინტერესი ევოლუციური თემატიკისადმი.

ინტერდისციპლინარული კვლევისადმი ამგვარი მიდრეკილება ნინომ ჯერ კიდევ თბილისის კონსერვატორიაში, სპეციალიზაციის პირველივე კურსიდან გამოავლინა. მან თავიდანვე არჩია ეთნომუსიკოლოგიური მასალის შედარებითი შესწავლა, და ინტენსიურად დაიწყო ქართულ-ბულგარული ფოლკლორული და ეთნოგრაფიული პარალელების ძიება. ამ თემატიკისადმი მიძღვნილი მისი შრომები ჯერ ქართულად გამოქ-

ვეყნდა (1987- 1988 წლებში), მერე რუსულად, ცნობილ საბჭოთა ეთნოგრაფიულ ჟურნალში „საბჭოთა ეთნოგრაფია“ (1991 წელს), ამის მერე, ითარგმნა ბულგარელი კოლეგების მიერ და დაიბეჭდა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „ბულგარსკი ფოლკლორში“.


გარდა ბულგარულ-ქართული პარალელებისა, ნინოს კვლევით ინტერესებს შორის გამოიჩევა რამდენიმე თემატური სფერო. ერთი მათგანია აღმოსავლეთ საქართველოს ერთხმიანი სიმღერების, ოროველა-ურმულების და მრავალხმიანი სუფრულების ანალიზი ახლო აღმოსავლეთის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ შედარებით კონტექსტში, კერძოდ კი – უძველესი ინდოევროპული ტომების მიგრაციის შუქზე. ამ საკითხით ნინო ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს დაინტერესდა, მაგრამ, სრული ენერგიით, უკვე ავსტრალიაში, მონაშის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლების პერიოდში ჩაეფლო. ნინომ, მის მიერ ჩამოყალიბებული, ორიგინალური, რვა-ფაქტორიანი კვლევის მეთოდის გამოყენებით, დაწვრილებით გააანალიზა ოროველა-ურმულების და სუფრულების სტილური თავისებურებები, კერძოდ: მელოდიკის, მეტრო-რიტმის, კილოური სისტემის, ფორმის, სოციალური გარემოს, და არქეოლოგიური და გენეტიკური გამოკვლევების შედეგები, და ყოველივე ამის მოხმობით, დამაჯერებლად დაასაბუთა აღმოსავლეთ საქართველოში უძველესი ინდოევროპული ტომების შემოჭრის მუსიკალური კვალი, რომელიც არ შეიმჩნევა დასავლეთ საქართველოს მუსიკალურ ფოლკლორში.

ნინოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ინდური მუსიკის ცნობილი ავსტრალიელი მკვლევარი, რის ფლორა, იმდენად აღტაცებული იყო ნინოს მუშაობით, რომ ურჩია, ეს ნაშრომი წამყვან ამერიკულ ჟურნალ „ეთნომუსიკოლოგიაში“ გამოექვეყნებინა. ამ თემისადმი მიძღვნილი შრომები ქართულად, შემდეგ კი, ინგლისურად გამოქვეყნდა, მათ შორის 2010 წელს, ამერიკაში გამოცემულ „ნოვა საიენსი“-ს მიერ მომზადებულ, სამეცნიერო შრომების კრებულში „17 არგუმენტი ქართული მრავალხმიანობის შესახებ“.

გენდერის შესწავლის საკითხი, შეიძლება ითქვას, ნინოს კვლევითი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა. საინტერესოა აქ იმის აღნიშვნა, რომ ამ თემით ნინო უკვე ავსტრალიაში

ჩასვლის შემდეგ დაინტერესდა და 1999 წელს, როცა დადგა საკითხი სადოქტორო დისერტაციის გაკეთების შესახებ (რომლის ხელმძღვანელი გახლდათ ავსტრალიის ყველაზე გამოჩენილი ეთნომუსიკოლოგი, მარგარეტ კარტომი), ნინომ და მარგარეტმა ერთად გადაწყვიტეს ქართულ მუსიკაში გენდერის საკითხისათვის მიექციათ ყურადღება.

აქ მინდა ვთქვა, რომ გენდერის საკითხი უფრო ფართოა, ვიდრე ეს ხშირად გაიგება. ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ის ინტერპრეტირებული იყო, როგორც ქალთა და მამაკაცთა შესაბამისი ფოლკლორული ჟანრების კვლევა. გენდერის კვლევა შეეხება იმ ხელოვნურ (კულტურულ) თუ ბუნებრივ (ობიექტურ ფიზიოლოგიურ) ბარიერებს, რომლებიც არსებობს, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში, როგორ ტრადიციულ (როგორიცაა, მაგალითად, საქართველო), ისე – პროგრესულ დასავლურ ქვეყნებში (ამერიკა, ინგლისი, ავსტრალია).



ნინო ციციშვილის წიგნი
„სასიყვარულო სიმღერების სათავეები“

ნინოს სადოქტორო დისერტაციას „ეროვნული ერთობა და გენდერული დაყოფა: იდეოლოგია და პრაქტიკა ქართულ ტრადიციულ მუსიკაში“, რეცენზენტმა ტიმ რაისმა, ლოს-ანჯელესის UCLA-ს უნივერსიტეტიდან, უმაღლესი შეფასება მისცა. მალე დისერტაცია წიგნად გამოვიდა ინგლისურ ენაზე საარბრიუკენში, „ლამბერტის აკადემიურ გამომცემლობაში.“ ამის მერე მალე, 2006 წლიდან 2011 წლამდე ნინო იყო ICTM-

ის გენდერის შემსწავლელი ჯგუფის თანათავმჯდომარე.

სწორედ სადოქტორო დისერტაციის მასალაზე მომზადდა ნინოს სტატია „კაცს შეუძლია დაუკრას და იმღეროს ქალზე უკეთესად: სიმღერა და პატრიარქატი ქართულ სუფრაზე“, რომელიც დღემდე რჩება ქართველ ეთნომუსიკოლოგთა ერთადერთ სტატიად, რომელიც გამოქვეყნებულია ამერიკულ ჟურნალ „ეთნომუსიკოლოგიაში“ 2006 წელს.

სხვათა შორის, ლამბერტის აკადემიურმა გამომცემლობამ, ფაქტობრივად, ერთდროულად გამოსცა ნინოს ორი წიგნი: სადოქტორო დისერტაცია და შრომების კრებული „კულტურული პარადიგმები და პოლიტიკური ცვლილებები კავკასიაში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა და ქართულ თემატიკაზე მომუშავე უცხოელმა მეცნიერებმა.

ცალკე საუბარის საგანია ნინოს მიერ თანამედროვე პოპულარული მუსიკის ჟანრის დარგში ჩატარებული კვლევა. სხვათა შორის, ნინო ავსტრალიის ერთ-ერთ წამყვან, მონაშის უნივერსიტეტში კითხულობდა კურსს „ამერიკული მუსიკა და პოპულარული კულტურა.“ ნინოს ამ ინტერესს აძლიერებდა ქართველ გოგონათა როკ-ანსამბლის, „ემბრიონის“ გამოჩენა და წარმატებები 2002-2006 წლებში. მან წარმოადგინა და გამოაქვეყნა მოხსენებები და სტატიები ამ როკ-ჯგუფის შესახებ, რომელშიც განიხილავს როკ-მუსიკის და გენდერის ურთიერთობას, კერძოდ კი, იმას, თუ როგორ არის ფემინიზმი და პატრიარქატის საწინააღმდეგო იდეები რეალიზებული გოგონათა როკ-ჯგუფ „ემბრიონში“. სხვათა შორის, ნინომ, ავსტრალიაში ყოფნისას, თვითონაც გატაცებით აითვისა ელექტრო გიტარა, და, ალბათ, ამის შედეგი იყო ისიც, რომ იტალიაში გამოცემულ „თანამედროვე მუსიკის ენციკლოპედიაში“ მას შესთავაზეს ქართულ მუსიკაში პოპულარული და ჯაზის ჟანრების მიმოხილვითი სტატიის დაწერა.

ხშირად უკეთებენ ციტირებას ნინოს 2009 წლის სტატიას „ნაციონალური იდეოლოგიები გლობალური შერწყმის ეპოქაში: ქართული მრავალხმიანი სიმღერა, როგორც იუნესკოს მიერ სანქცირებული ხელთუქმნელი შედეგრი“, სადაც ნინო აკვირდება და აანალიზებს ქართული ვოკალური მრავალხმიანობის ოფიციალური აღიარების, ძნე-

ლად შესამჩნევ, უარყოფით იდეურ შედეგებს ეროვნული მუსიკის სხვა სტილური ჟანრებისათვის. ამ მხრივ, აღსანიშნავია ნინოს ინტერესი ქართულ დუდუკზე დაკვრის შესწავლის მიმართ, რაც, პუბლიკაციების გარდა, გამოიხატა ცნობილ შვეიცარიელ ეთნომუსიკოლოგთან, ჰუგო ზემპთან ერთად გადაღებულ ფილმში. ნინოს თანამშრომლობა ჰუგო ზემპთან გაგრძელდა ზემპისა და ნონა ლომიძის მიერ 2019 წელს გადაღებულ ფილმშიც „მრავალხმიანი ნანები კახეთში“, რომელშიც ნინოს მეცნიერული კვლევის შედეგებიცაა გამოყენებული.



ნინო ციციშვილი მეუღლესთან და შვილთან – იოსებ და სანდრო ჟორდანიებთან ერთად

ნინოს, როგორც კრიმანჭულის ლეგენდასთან, გიორგი ბაბილოძესთან სისხლით დაკავშირებულ ქართველ ეთნომუსიკოლოგს, რომელიც თავადაც შესანიშნავად ასრულებს გურულ კრიმანჭულს, ბუნებრივად გააჩნდა ინტერესი და მიდრეკილება გურული პოლიფონიის სიღრმეებში წვდომისა. ასე რომ, მის კვლევით საქმიანობაში ეს თემაც აისახა. სულ ახლახან, 2023 წელს, კემბრიჯში გამოსულ კრებულში, რომელიც ანზორ ერქომაიშვილს ეძღვნება, მან გამოაქვეყნა წერილი, სადაც სიმღერა „მივალ გურიაში, მარა“ გაანალიზებულია, სწორედ იმპროვიზაციული ოსტატობის კუთხით, გურული იმპროვიზაციის ლეგენდად დამკვიდრებული ორი დიდოსტატის, ანზორ ერ-

ქომაიშვილისა და ვაჟა გოგოლაძის ვარიანტების საფუძველზე.

ცალკეა სასაუბრო თემა ნინოს კვლევითი მუშაობა ადამიანის ევოლუციის სფეროში. აქ თითქოს ბუნებრივად შეერწყა ერთმანეთს ნინოს კვლევის ორი მნიშვნელოვანი მიმართულება: წარსულისადმი ინტერესი და გენდერული თემატიკა. ამ კუთხით, ნინომ თავისი კვლევის შედეგები არაერთ საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოადგინა. სულ ახლახან, 2022 წლის ნოემბერში, „კემბრიჯის მეცნიერთა მკითხველის“ გამომცემლობაში გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „სასიყვარულო სიმღერების სათავეები: სქესობრივი შერჩევა თუ სქესობრივი იმედგაცრუება?“ ეს წიგნი ადამიანის კულტურის და სოციალურობის ჩამოყალიბების შესახებ სრულიად ახალ მოდელს გვთავაზობს. იგი, ადამიანური საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანურ ჯგუფებში სოცალურ-სქესობრივი კავშირების სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე, მიდის დასკვნამდე, რომ, რაც უფრო მკაცრად არის დაცული სექსის რეგულაცია საზოგადოებაში, რაც უფრო მკაცრია იქ რელიგიური ტაბუები, მით მეტია ამ კულტურაში სასიყვარულო სიმღერები. ამასთან დაკავშირებით, ნინო მუსიკისა და სექსუალური აკრძალვების შესახებ ალან ლომაქსის მიერ გამოთქმულ იდეებსაც იშველიებს. ამავე დროს, წიგნიდან ვიგებთ, რომ მთელ რიგ ადამიანურ კულტურებში, მეტწილად შემგროვებლებში, სექსუალური ცხოვრება არ არის მკაცრად რეგლამენტირებული, და, ასეთ კულტურებში, სასიყვარულო სიმღერები ან საერთოდ არაა, ან ძალიან ცოტა და უმნიშვნელოა, და ხშირად, მეზობელი კულტურებიდანაა ნასესხები.

ნინო ციციშვილს ჩატარებული აქვს მთელი რიგი ექსპედიციებისა, ჩაწერილი აქვს ძვირფასი მასალა გურიაში, სვანეთში, კახეთში, ხევსურეთში, რაჭაში, ხევში; წაკითხული აქვს მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე, თბილისის გარდა: ჩიკაგოში, მელბურნში, ჰონოლულუში, ტორონტოში, კალიარში, ვენაში, სოფიაში, ატლანტაში, ჩატარებული აქვს მასტერკლასები და ვორკშოპები ახალ ზელანდიაში, კანადაში, ავსტრალიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში. როგორც ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი (ანსამბლების „ოქროს საწმისი“, „ნანა“, და „ბებია“

წევრი), ნინო გამოსულა ავსტრალიის თითქმის ყველა დიდ ფესტივალზე. გარდა ამისა, გასტროლებით ნამყოფია ინგლისში, უელსში, შოტლანდიაში, ჩიკაგოში, პარიზში, ლოს-ანჯელესში.



ნინო ციციშვილი და მის მიერ ჩამოყალიბებული, ერთ-ერთი ავსტრალიური ქალთა გუნდი „უცხო სუნელი“

სპეციალურად მინდა აღვნიშნო ის დიდი წვლილი, რაც ნინომ შეიტანა ავსტრალიაში ქართული სიმღერის პოპულარიზაციის საქმეში. ან-სამბლები „ალილო“, „ბრიიზინგ სფეის“, „უცხო სუნელი“ და „მელბურნის ქართული გუნდი“ მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა ქართულ სიმღერებს სწორედ ნინოს დახმარებით; მელბურნის უნივერსიტეტის სტუდენტები მისი დახმარებით ეცნობიან ქართულ და სხვა ქვეყნების მრავალხმიანობას; მელბურნის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ნინოს ხელმძღვანელობით „ქართული გუნდი“ საგნად ჩამოყალიბდა, რომელიც სტუდენტთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობს და, უკვე 8 წელია, ამ უნივერსიტეტის მუსიკის ბაკალავრიატის კურიკულუმის საგნად რჩება.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ნინო ციციშვილი არის ავსტრალიაში უაღრესად აქტიურად მოღვაწე ქართველი ეთნომუსიკოლოგი, რომლის დაუდეგარი ბუნება და მუდმივი სწრაფვა თვითგაუმჯობესებისადმი არის იმის მიზეზი, რომ მისი ავტორიტეტი გამუდმებით იზრდება როგორც ქართველ, ისე უცხოელ კოლეგებს შორის.

იოსებ ჟორდანია
მუსიკოლოგიის დოქტორი
მელბურნის უნივერსიტეტის
კონსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომელი

„იუნესკოს კულტურული სივრცეების პროექტი“ – საერთაშორისო ოჯახის შეხვედრის ადგილი

ტრადიციული კულტურის დამცველები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულ ერთ დიდ ოჯახად სწორედ იუნესკოს ამ პროექტმა დამანახა. ამ ოჯახის წევრები ის ხალხია, ვისაც ღრმად სჯერა უძველესი კულტურებისა და მათი ელემენტების მარადიული ღირებულებისა და თანამედროვე გარემოში მათი შენახვის ადეკვატური ფორმების ძიებაშია ჩაფლული. „იუნესკოს კულტურული სივრცეების პროექტმა“ სწორედ ამ ოჯახის წევრი ევროპელი ენთუზიასტები შეკრიბა, რომ საკუთარი არამატერიალური კულტურის ელემენტები და მათი შენარჩუნება-გავრცელების გამოცდილება ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ.

ლატვიური „სუიტის ეთნიკური კულტურის ცენტრის“ მიერ ინიცირებულ და Erasmus+-ის მიერ მხარდაჭერილ ამ პროექტში ესტონელ, მაკედონიელ, იტალიელ, ხორვატ და პორტუგალიელ ეთნომუსიკოლოგებთან, ფოლკლორის შემსრულებლებთან და კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, ქართველებიც არიან ჩართული. ქართველი პარტნიორი, „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“, „საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა“ და „თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად (მათ შორის, მეც გახლავართ), ბოლო 2 წლის განმავლობაში, პროექტის წევრ ქვეყნებს ეწვია და თავადაც უმასპინძლა მათ საქართველოში 2022 წლის ოქტომბერში.

ამ აქტივობების მთავარი მიზანი იუნესკოს უშუალო ჩართულობით მიმდინარე, ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ფორმების შენახვის პრაქტიკებისა და ინდივიდუალური გამოცდილებების უერთიერთგაზიარება და საბოლოოდ, მისი კიდევ უფრო ეფექტური გზების მოძიებაა. თუმცა, ამ პროცესში დაწყებულმა მეგობრობამ და შემოქმედებითი ინტერესების თანხვედრამ, არაერთ საერთაშორისო კოლაბორაციულ პროექტსაც ჩაუყარა საფუძველი და. რაც მთავარია, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული, საერთო ოჯახის წევრები ერთ სივრცეში შეკრიბა.



პროექტის მონაწილეები პორტუგალიაში

ამ ფაქტის განსაკუთრებულობა თითქოს პროექტის ყველა წევრს აქვს ნაგრძნობი და ალბათ ამიტომაცაა, რომ მსგავსი მობილობისას პროექტის მიზნებით განსაზღვრული საქმიანობებისგან (სემინარები, ლექციები, შეხვედრები) თავისუფალი ნებისმიერი მომენტი საერთაშორისო ფოლკლორულ დღესასწაულად იქცევა-ხოლმე. ავტობუსით მგზავრობის თითქოს მოსაწყენი დროც კი იმპროვიზებულ ფოლკლორულ კონცერტადაა ტრანსფორმირებული. ესაა ნამდვილი ჯემ-სეიშენი, სადაც ავტობუსის თავში მომღერალ რომელიმე ჯგუფს ხშირად ავტობუსის ბოლოდან გამოეპასუხება-ხოლმე სხვა ჯგუფი. ზოგჯერ ეს ყველაფერი ნამდვილ ფოლკლორულ შეჯიბრადაც კი იქცევა, როგორც ეს ძველი ფოლკლორული პრაქტიკისთვის იყო დამახასიათებელი. ჩვენთანაც, განსაკუთრებით გურიაში, მომღერლებს შორის მსგავსი იმპროვიზაციული „შეჯიბრები“ ხშირად იმართებოდა, რასაც ანზორ ერქომაიშვილი არაერთგან იხსენებს.

ჩემთვის, „იუნესკოს კულტურული სივრცეების პროექტი“ და მსგავსი ინიციატივები ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება თანამედროვე მსოფლიოში ჰარმონიულად თანარსებობდეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენახვისა და ინტერნაციონალურობის იდეა და, რომ ნამდვილადაა შესაძლებელი, შევინარჩუნოთ მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნება არსებულ გლობალიზებულ გარემოში, და ამასთან, თანამედროვეობისთვის ბუნებრივ და ადეკვატურ ფორმებში.

თეონა ლომსაძე
ტმკსც-ის სპეციალისტი

ერთი რეგიონული ანსამბლი

ფოლკლორული ანსამბლი „მესხეთი“

ახალციხის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი „მესხეთი“ არსებობის 70 წელზე მეტს ითვლის. ამჟამად ის ქალაქ ახალციხის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ბაზაზე არსებობს. გუნდის რეპერტუარშია როგორც მესხური, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები, საეკლესიო საგალობლები და საკომპოზიტორო ნიმუშები. დეტალურად ანსამბლის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ მის ხელმძღვანელი, ზაზა თამარაშვილი მოგვითხრობს.

ანსამბლი „მესხეთი“ 1949 წელს ჩამოყალიბდა. ანსამბლის უზუცესმა წევრის, გურამ ზამბახიძის ინიფორმაციით, მას თავდაპირველად ნოკო ხურცია ხელმძღვანელობდა. შემდგომში ანსამბლმა არაერთი ხელმძღვანელი გამოიცვალა. მათ შორის: ქეთევან ღოღობერიძე, ვალერიან მალრაძე, შოთა ალთუნაშვილი, ალა მუნჯიშვილი. თავდაპირველად, ეს გახლდათ ქალ-ვაჟთა შერეული გუნდი, რომელიც ასრულებდა ხალხურ სიმღერებსაც და კომპოზიტორთა ნაწარმოებებსაც. 1993 წლიდან გუნდი ჩამოყალიბდა მამაკაცთა ანსამბლად, ბატონი შოთა ალთუნაშვილის ხელმძღვანელობით. მეც ამ წელს შევუერთდი მათ. 2005 წლიდან კი, შოთა ალთუნაშვილის გარდაცვალების შემდეგ, ანსამბლს მე ვხელმძღვანელობ.

„მესხეთში“ სხვადასხვა თაობის ადამიანები მღერიან. უფროსებიდან, რომლებიც ძველ გუნდშიც მღეროდნენ, სამი ადამიანი შემოგვრჩა: ედუარდ სადათერაშვილი, ტარიელ ზუმბაძე და თამაზ კუჭაძე. შუახნის და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები არიან: ზურა ინასარიძე, ვასილ ბეგიშვილი, არჩილ კაპანაძე, დათო ოქრომელიძე, გოიკო გაბედავა. სპეციალური მუსიკალური განათლება არც ერთს არ გვაქვს. მე პროფესიით მათემატიკოსი გახლავართ. ამჟამად ვმუშაობ როგორც მათემატიკოსი. ვარ აგრეთვე ახალციხის ციხის – „რაბათის“ დირექტორი. ანსამბლში გვყავს თოჯინების თეატრის მსახიობი, სამაშველო სამსახურის თანამშრომელი და ა.შ.



ანსამბლ „მესხეთის“ ხელმძღვანელი
ზაზა თამარაშვილი

ჩვენს რეპერტუარში უპირატესობას, რა თქმა უნდა, მესხურ სიმღერებს ვანიჭებთ. ამასთან, ისეთ სიმღერებს, ან სიმღერების ისეთ ვარიანტებს, რომლებსაც, პრაქტიკულად, სხვა არავინ მღერის. მაგალითად, მესხური მრავალჟამიერის განსხვავებული ვარიანტი, სიმღერა „მმანო“, რომელიც ბატონმა შოთა ალთუნაშვილმა ჩაიწერა სოფელ უდუში. სხვა გამორჩეული მესხური ნიმუშებიდან აღსანიშნავია: „სამყრელო“, „ავთანდილ გადინადირა“, „სამნივე შევიყარენით“, მესხური „მზე შინა“ და ა.შ.

სიმღერების უმეტესობა ბატონ შოთა ალთუნაშვილისგან გვაქვს ნასწავლი, რომელიც მესხური სიმღერების დიდი მოამაგე გახლდათ. ასევე ფასდაუდებელია, რა თქმა უნდა, ბატონ ვალერიან მადრაძის ღვაწლი. ჩვენ ხელთ გვაქვს მისი სანოტო ჩანაწერები, საიდანაც დღემდე ვხელმძღვანელობთ. ამას გარდა, როდესაც მესხეთს ექსპედიციით სტუმრობენ სიმღერების ჩასაწერად, მაქვს ბედნიერება, რომ სპეციალისტებს ხშირად მეც ვახლდე თან. რა თქმა უნდა, ეთნოფორების რიცხვი დღეს მესხეთში საკმაოდ მცირეა, თუმცა, გვაქვს ცნობები გარკვეული სიმღერების შესახებ, რომლებიც დღემდე სრულდება სოფლებში. ამგვარი ნიმუშია საქორწილო სიმღერა „ოთხი წყარო დის“.

რაც შეეხება შესრულების მანერას, ჩვენ ვცდილობთ, ძალიან ფრთხილად მოვეკიდოთ ჩვენი წინაპრების დანატოვარს. შემსრულებლობის კუთხით, გარკვეულწილად ვითვალისწინებ ანსამბლის უხუცესი წევრების შენიშვნებსა და რჩევებს, თუმცა ახალი სიმღერის გარჩევისა და სწავლების პროცესს მე ვხელმძღვანელობ.

გარდა მესხური სიმღერებისა, ჩვენი რეპერტუარი მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ნიმუშებს – ქართლ-კახურ, იმერულ, მეგრულ, სვანურ სიმღერებს და, ასევე, კომპოზიტორების მიერ, მესხურ თემატიკაზე შემქნილ საავტორო სიმღერებს, როგორებიცაა, მაგალითად: გომარ სიხარულიძის „ჰიმნი მესხეთს“, „სიმღერა ვარძიაზე“ და ა.შ.

ჩვენი ანსამბლის წევრები სხვადასხვა ტაძრის მაგალობლებიც არიან. დიდ დღესასწაულებზე, ვცდილობთ, ერთად ვიგალობოთ ახალციხის საკათედრო ტაძარში. საეკლესიო საგალობლები მრავლად გვაქვს ანსამბლის რეპერტუარშიც.



ფოლკლორული ანსამბლი „მესხეთი“

უნდა აღინიშნოს, რომ ანსამბლი „მესხეთი“ ყოველთვის აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა და დღესაც ასეა. ეს გახლავთ მუნიციპალიტეტის დაფინანსებით არსებული ანსამბლი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს როგორც მუნიციპალური, ისე – ქვეყნის მასშტაბით გამართულ მნიშვნელოვან ღონისძიებებში. ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ახალციხის მუნიციპალიტეტს, რომელიც ყოველმხრივ ეხმარება ანსამბლს აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებაში.

ანსამბლი არა ერთხელ იმყოფებოდა გასტროლებით სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში (1978, 1982), რუმინეთში (1981), ბულგარეთში (1987), თურქეთში (1999, 2017, 2018), სომხეთში (2009), ჰოლანდიაში (2018, 2019), პოლონეთში (2019). განსაკუთრებით გამოვყოფდი პოლონეთს, სადაც, თეატრალური ფესტივალის

ფარგლებში, სოლო კონცერტი გავმართეთ. ან-სამბლს გამოცემული აქვს ორი აუდიოალბომი. ანსამბლი „მესხეთი“ „არტ გენის“ ფესტივალისა და ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მუდმივი მონაწილეა. 2022 წელს ის ამ უკანასკნელის გამარჯვებულთა შორისაც მოხვდა.

უახლოეს მომავალში ვგეგმავთ სოლო კონცერტს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ახალციხის პირველი საჯარო სკოლის ცეკვის ანსამბლთან ერთად. ზაფხულში ვაპირებთ ყოველწლიურ ფესტივალ „არტ გენში“ მონაწილეობას. გვაქვს მიწვევა ჰოლანდიიდან, რომელსაც, სავარაუდოდ, ნოემბრის თვეში ვეწვევით.

ჩაიწერა სოფიკო კოტრიკაძემ

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ

**„ქართული პოლიფონიით მიღებული
შთაბეჭდილებები ყოველგვარ
მოლოდინს აჭარბებს“...**

როდესაც 2007 წელს ნონა ლომიძეს შევხვდი ICTM-ის მსოფლიო კონფერენციაზე ვენაში და მისგან შევიტყვე თბილისის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ, ძალიან ავლელდი, რადგან 1980-იან წლებში, პეტერბურგის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტობისას, უკვე ბევრი მსმენოდა ცნობილი ქართული კონფერენციების შესახებ. იმ პერიოდში ვიკვლევდი ჰეტეროფონიას რუსეთ-ბელორუსიის სასაზღვრო რეგიონის სარიტუალო სიმღერებში და, ბუნებრივია, ძალიან მაინტერესებდა ყველაფერი, რაც ტრადიციულ მრავალხმიანობას უკავშირდებოდა. პეტერბურგის ეთნომუსიკოლოგიურ წრეებში ბევრს საუბრობდნენ ბორჯომში გამართულ რევოლუციურ კონფერენციებზე, რომლებმაც ახალ დონეზე აიყვანა ხალხური მრავალხმიანობის კვლევა მაშინდელ საბჭოთა კავშირში და, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ წამყვანი ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერები.

1992 წელს, ესტონეთში საცხოვრებლად და სამუშაოდ გადასვლის შემდეგ, მუშაობა დავიწყე ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიაში და აღმოვაჩინე ახალი, საინტერესო ობიექტი კვლევისთვის – სეტუს მრავალხმიანი სიმღერები – სამხრეთ-აღმოსავლეთ ესტონეთში მცხოვრები, პატარა ხალხის ძალიან ორიგინალური, უძველესი ვოკალური მრავალხმიანი ტრადიცია. სეტუს სიმღერებმა გამაოცა თავისი უნიკალურობითა და სილამაზით და გახდა ჩემი კვლევის მთავარი ობიექტი მრავალი წლის განმავლობაში, აგრეთვე, ჩემი მრავალი მოხსენების თემა თბილისის სიმპოზიუმებზე.



ჟანა პარტლასი

ჩემი მონაწილეობა პირველ სიმპოზიუმში, რომელიც 2008 წელს ჩატარდა, დაჩრდილა იმავე წლის აგვისტოში რუსეთის ჯარების შექრამ საქართველოში. თუმცა, მიუხედავად საგანგაშო სიტუაციისა და უცხოელი მონაწილეების არყოფნისა, აღფრთოვანებული ვიყავი, როგორც სიმპოზიუმის სამეცნიერო დონით, ისე შესანიშნავი კონცერტებით. რა თქმა უნდა, მანამდეც ვიცნობდი და მიყვარდა ქართული სიმღერა, მაგრამ სიმპოზიუმზე ქართული სიმღერებისა და სხვა მრავალხმიანი ტრადიციების შთაბეჭდილებების ინტენსივობა ჩემს მოლოდინს ბევრად აღემატებოდა. მას შემდეგ, ვმონაწილეობ თბილისის თითქმის ყველა სიმპოზიუმში და ყოველ ჯერზე ჩემთვის რაღაც ახალს ვპოულობ, როგორც ეთნომუსიკოლოგიაში, ისე ტრადიციულ მუსიკაში.

თბილისის სიმპოზიუმის ერთ-ერთი მიმზიდველობა არის ის, რომ აქ ჩამოყალიბდა რეგულარულ მონაწილეთა ჯგუფი სხვადასხვა

ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერების შემადგენლობით. ეს შესაძლებლობას გვაძლევს, თვალყურს ვადევნოთ რამდენიმე კვლევითი პროექტის განვითარებას. ყოველ მომდევნო სიმპოზიუმზე ჩამოსვლისას, მოუთმენლად ველი წინა სიმპოზიუმების საინტერესო დისკუსიების გაგრძელებას. განსაკუთრებით მაინტერესებს ქართული მრავალხმიანი სიმღერების კვლევა განსხვავებული თეორიული და ტექნიკური მეთოდებით. აქ საინტერესოა ქართველი და უცხოელი ეთნომუსიკოლოგების მიდგომებისა და კვლევის შედეგების შედარება; ასევე, „განგრძობადი თემები“ სხვადასხვა ეთნიკურ ტრადიციებზე.

თბილისის ფორუმების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ასპექტი არის თემების მრავალფეროვნება და მუსიკალური ტრადიციების დიდი გეოგრაფიული არეალის დაფარვა. ბედნიერი ვარ, რომ შევძელი მრავალი წლის განმავლობაში სეტუს მრავალხმიანობა სხვადასხვა რაკურსით წარმომედგინა საერთაშორისო ეთნომუსიკოლოგიური საზოგადოების წინაშე.

ბოლო დროს, დავიწყე ფინო-უგარული მრავალხმიანი სტილების კვლევა. 2015 წლიდან, მორდოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, არაერთხელ ჩავატარე სხვადასხვა მუშაოები მორდოვიაში, სადაც ვაკეთებდი მოკმასა და ერზიას სიმღერების მრავალხმიან ჩანაწერებს. 2018 წელს ჩემი მორდოვული კვლევის პირველი შედეგები წარვადგინე თბილისში. 2021-2022 სასწავლო წელი გავატარე ამერიკაში ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტში, სადაც ვისწავლე კორპუსის ანალიზის მეთოდი მოკმას სიმღერების გამოყენებით. რამდენადაც ვიცი, ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერის კვლევაში კორპუსის ანალიზი ეთნომუსიკოლოგებს არასდროს გამოუყენებიათ. შესაძლოა, ეს გახდეს ჩემი ნაშრომის თემა თბილისის მომავალ სიმპოზიუმზე. ასევე, იმედი მაქვს, სწორედ მაშინ წარვადგენ, 2017 წელს, ჩრდილოეთ უდმურტიაში ჩვენი ექსპედიციის მიერ ჩაწერილ, მრავალხმიან უდმურტულ სიმღერებს.

თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის სიმპოზიუმებს რომ დავუბრუნდე, არ შემიძლია, არ აღვნიშნო, განსაკუთრებულად თბილისი ატმოსფერო და ორგანიზატორების წარმოუდგენელი სტუმართმოყვარეობა და ყურადღება. აქ

თავის როლს თამაშობს თბილისისა და საქართველოს უნიკალური და მომაჯადოებელი ატმოსფერო. მრავალრიცხოვან სამეცნიერო სესიებზე ინტენსიური ინტელექტუალური მუშაობის მიუხედავად, თბილისის სიმპოზიუმებს მე ყოველთვის აღვიქვამ, როგორც მუსიკის, მეცნიერებისა და მეგობრობის ზეიმს. უნდა ვაღიარო, რომ, დიდი ხანია, რაც მათზე „სასიამოვნოდ დამოკიდებული“ გავხდი, თუმცა, ამის წინააღმდეგ ბრძოლას ნამდვილად არ ვაპირებ!

ჟანა პარტლასი

*ესტონელი ეთნომუსიკოლოგი,
ტალინის მუსიკისა და თეატრის აკადემიის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

ქართული სიმღერის მოამაგეები

ბეგლარ და ქიონია აკობიები

იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებმაც ქართული მუსიკალური კულტურა შთამომავლობას შემოუნახეს, მიეკუთვნებიან ბეგლარ აკობია და ქიონია ბარამია. მათი სახელი მჭიდროდ უკავშირდება ტრადიციულ მეგრულ ხალხურ სიმღერას. ისინიც სწორედ ხალხური სიმღერის უზომო სიყვარულმა დააკავშირა ერთმანეთს.

ბეგლარ აკობია (1881-1947) დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში. ოჯახის სიდუხჭირის გამო, მან მხოლოდ ზუგდიდის ორკლასიანი სკოლა დაამთავრა. დიდი მონდომების მიუხედავად, იგი ამ მცირედი ცოდნით გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. მისი ცხოვრების თანამგზავრი, ჩონგურზე დაკვრის დიდოსტატი, ქიონია ბარამია (1892-1964) დაიბადა ქალაქ ზუგდიდში. მას მუსიკალური ნიჭი დაბადებიდანვე დაჰყვა. განსაკუთრებით ჩონგური იზიდავდა. 7 წლის ასაკში უკვე მშვენივრად უკრავდა ამ რთულ ინსტრუმენტზე. როგორც თვითონ იხსენებს, ისეთი პატარა ყოფილა, რომ ჩონგურის ტარს ხელს ძლივს აწვდენდა.

ბეგლარმა ქიონია 16 წლის ასაკში გაიცნო. ახალგაზრდა კაცი მონუსხა ქიონიას მუსიკალურმა ნიჭმა, ხმამ და, მალევე, 1910 წელს, მათ იქორწინეს. აკობიების მოკრძალებული ოჯახის სიმდიდრეს

წარმოადგენდა მამაპაპისეული ჩონგური, რომელზეც განსაცვიფრებელი ოსტატობით უკრავდა ორივე. ამ წყვილმა, საოცრად შეყვარებულმა ხალხურ სიმღერაზე, დაუდო სათავე ქართული ჩონგურის აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეს სამეგრელოში.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ჩამოაყალიბა პატარა ანსამბლი, ოჯახის ახლობელ ადამიანთან, სოლომონ მარკოზიასთან ერთად. თავდაპირველად, ანსამბლი ხუთი შემსრულებლისგან შედგებოდა; შემდეგ ის თანდათანობით 12-მდე გაიზარდა. ანსამბლის ჩამოყალიბება და ფეხზე დაყენება, იმ დროისათვის, საკმაოდ მწელი იყო. თუმცა, ბეგლარი და ქიონია თავდაუზოგავად მუშაობდნენ, ქმნიდნენ სიმღერების თავიანთ ვარიანტებს, რამაც მალე ნაყოფი გამოიღო.



ბეგლარ აკობია

ანსამბლის დებიუტი შედგა 1922 წელს, ქალაქ ზუგდიდის კლუბში. მაყურებელმა პირველად მოისმინა ქიონიასა და ბეგლარის ლირიკული ხმები და ჩონგურზე შესრულება. მალე მათი ვირტუოზობის ამბავი არა მარტო ზუგდიდის, არამედ სხვა რაიონებსა და ქალაქებსაც მისწვდა. ამას მოჰყვა კონცერტები წყალტუბოში, ქუთაისში, თბილისში, გურიისა და აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქში, სომხეთში. აკობიებს ყველგან თბილად და სიყვარულით ხვდებოდნენ; აუდიტორია მქუხარე აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა მათ ყოველ სიმღერას.

1930 წლიდან ანსამბლს ოფიციალურად „მეგრელ მეჩონგურეთა ანსამბლი“ ეწოდა. მისი

ყველაზე პატარა წევრი იყო ბეგლარის და ქიონიას შვილი – 7 წლის ნუცა აკობია. ანსამბლის მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა ქიონია, ხოლო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ბეგლარ აკობია იყო.

1931 წელს ბეგლარ აკობიას მეჩონგურეთა ანსამბლი შეამოწმა და მოიწონა განათლების სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ, რომელიც განსაკუთრებით აღაფრთოვანა ქიონია აკობიას ვირტუოზულმა შესრულებამ ჩონგურზე. ანსამბლის მოღვაწეობით დაინტერესდნენ კომპოზიტორები და მუსიკათმცოდნეები: დიმიტრი არაყიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი, გრიგოლ კოკელაძე, გრიგოლ ჩხიკვაძე.

ბეგლარ და ქიონია აკობიების ანსამბლმა მრავალ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა. მათ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ააჟღერეს თავიანთი რეპერტუარი და ყველგან მოხიბლეს მსმენელი მეგრული საჩონგურო მელოდიებით. ამას ადასტურებს ის უამრავი რეცენზია, რომელიც უხვად შემოგვინახა პრესამ.

მუსიკათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გრიგოლ ჩხიკვაძე, რომელიც იმ წლებში რადიოკომიტეტის მუსიკალურ რედაქტორად მუშაობდა, დიდად უწყობდა ხელს ანსამბლს და სწორედ მისი დახმარებით იყო ბეგლარ აკობია თავის გუნდთან ერთად საქართველოს რადიოკომიტეტის ხშირი სტუმარი. ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო რადიოფესტივალშიც, სადაც დიდი წარმატება და გამარჯვება მოიპოვა.

1936 წელს თბილისის ესტუმრა ექსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის საუკეთესო ნიმუშების გრამფირფიტაზე ჩაწერას. ექსპედიციამ მრავალი გუნდი და ცალკეული შემსრულებელი ჩაიწერა. მათ შორის: აღმოსავლეთ საქართველოს გუნდი სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით; დასავლეთ საქართველოს გუნდი კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით; გურული სიმღერის კოლექტივი ვარლამ სიმონიშვილის, მეგრული ხალხური გუნდი რემა შელეგიას ლოტბარობით; გურულ-აჭარული ხალხური სიმღერის ანსამბლი არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ამ შესანიშნავ ანსამბლებთან ერთად, ჩამწერმა კომისიამ დააფიქსირა მეჩონგურეთა ორი ანსამბლი: ბეგლარ აკობიასა და ავქსენტი მეგრელიძის ხელმძღვანე-

ლობით. აკობიას გუნდის რეპერტუარიდან ფირ-ფიტაზე ჩაიწერეს მრავალი მეგრული ხალხური სიმღერა ჩონგურის თანხლებით.



ქიონია ბარამია-აკობია

ბეგლარ და ქიონია აკობიებმა აღადგინეს და გუნდის რეპერტუარში ააქლერეს თორმეტი, სრულიად მივიწყებული, მეგრული ხალხური ჰანგი და ხალხურ მოტივებზე შექმნეს ჩვიდმეტი ახალი სიმღერა. მათ შორის: „სესია“, „ჩელა“, „ვეენგარა ნანა სქუა“, „ყაზახიში ობირეში“, „რკინაში ხოჯი“, „პირველი მესი“, „ჩაიში კულტურა“, „ჭითა ჯარი“, „სი სოულ, სი ცირა“, „მაფშალია“, „დიდა, ვოინანა“, „ჩქიმ ტორონჯი“, „ნო დიანთილი“, „გაჭირება ყურდგელიში“, „ზარი“, „სიმღერა გმირ ქანთარიაზე“, „ეგებ ქორთული გაგაჩქილე“, „სიმღერა უტუ მიქავაზე“, „სიმღერა სტალინზე“, „სიმღერა რუსთაველზე“, „მოსკოფი“, „ნანა სამშობლო მიძახუნა“ და სხვ.

აკობიების მიერ შექმნილი მეგრული სიმღერები შემდგომ სხვადასხვა ანსამბლებმაც შესრულეს. სხვათა შორის, სწორედ ბეგლარ აკობიას ანსამბლში მღეროდა პავლე აკობია, ცნობილი მეგრული „ჩელას“ ტექსტის ავტორი. „ჩელას“ გამოქვეყნებისთანავე ყურადღება მიაპყრეს და სიმღერად აქციეს საქვეყნოდ სახელგანთქმულმა ლოტბარმა ძუკუ ლოლუამ და რემა შელეგიამ. ეს სიმღერა იმთავითვე პოპულარული გახდა. მაგრამ მას ყველა ვერ ასრულებდა სათანადო დონეზე. თვით პავლე ამბობდა: „სამწუხაროდ, ჩელას დამახინჯებით ასრულებენ მომღერალთა გუნდები. მეგრულ მეჩონგურეთა გუნდი, ბეგლარ აკობიას ხელმძღვანელობით, ასრულებს მას მისაღები ფორ-

მით“. პავლე აკობიას ეკუთვნის სხვა ცნობილი მეგრული სიმღერების ტექსტებიც: „ერეხელი“, „გეფშვათ ღვინი ხარათია“, „გეშვია-გეშვია“, „ულა მოკო კახათიშა“, „ნანაია ნანა სქუა“, „სისა ტურა“, „უჩარდია უჩა კოჩი“.

ბეგლარ აკობიას ანსამბლს ყველგან აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი ჩონგურებისა და სასიმღერო ხმების შესანიშნავი შეწყმით; ხალხური მანერით შესრულებული, ძველი მეგრული, აფხაზური და სვანური სიმღერებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია გუნდის და მისი ხელმძღვანელის ნაყოფიერი მუშაობა სიმღერათა ტექსტების სწორად გამოთქმაში. ქიონია აკობიას ნიჭისა და ხმის მოქნილობის წყალობით, მათი გუნდის მომღერლები ნამდვილი სვანებივით და აფხაზებივით ასრულებდნენ ამ კუთხეების სიმღერებს. განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდათ სვანი მონადირის, „ბეთქილის“ სიმღერა ფერხულთან ერთად. როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა, გუნდის დიდი უპირატესობა, სხვა, მსგავს გუნდებთან შედარებით, ის იყო, რომ იგი „სრულიად ბუნებრივი კილოთი, გადაუკეთებლად და შეუღამაზებლად ასრულებდა, არა მარტო მეგრულ, არამედ სვანურ, აფხაზურ, გურულ და სხვა ხალხურ სიმღერებს“.

ბეგლარ აკობიას გუნდს ყოველთვის მდიდარი რეპერტუარი ჰქონდა, რომელიც ასამდე სიმღერას მოიცავდა. აქედან ორმოცამდე – საგუნდო სიმღერა იყო ჩონგურის აკომპანიმენტით. გუნდის რეპერტუარი ჟანრულადაც მრავალფეროვანი იყო.

ხალხურ სიმღერაზე საოცრად შეყვარებული ბეგლარ აკობია უეცრად გარდაიცვალა 1947 წლის 18 აპრილს. მისი მეუღლე, ქიონია აკობია, ღირსეულად უძღვებოდა ანსამბლს წლების მანძილზე. ქართული ჩონგურის ვირტუოზი 1964 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ზუგდიდში, მეუღლის გვერდით.

მასალა დამუშავებულია მაკა ხარბიანის

მიერ, წიგნიდან:

ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები.

სამეგრელო. ნაწილი III

ანსამბლ „იალონის“ ტურნე დიდ ბრიტანეთში

ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებელ ქალთა ანსამბლი „იალონი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ნანეიშვილი), მიმდინარე წლის 9-23 მაისს საგასტროლო ტურნეით დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდა. ანსამბლმა ინგლისის სხვადასხვა ქალაქში 7 კონცერტი და 6 მასტერკლასი ჩაატარა. სასიხარულო იყო, რომ მსმენელებს შორის, ქართველებიც აღმოჩნდნენ. ანსამბლ „იალონთან“ ერთად, ინგლისში კონცერტები ტრადიციული მუსიკის ანსამბლმა „მუსიკელმაც“ გამართა (სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი კაკულია).



ანსამბლ „იალონის“ ლონდონის კონცერტის აფიშა

მოგზაურობის დღიურსა და შთაბეჭდილებებს ბიულეტენის მკვითხველებს ექსკლუზიურად გაგიზიარებთ, რისთვისაც გვინდა მადლიერება გამოვხატოთ ამ გამოცემის შემდგენლისა და რედაქტორის, ქალბატონი მაკა ხარძიანის, მიმართ.

ამბავი კი იყო ასეთი:

9 მაისი. თბილისი. 05:50. ჩვენი თვითმფრინავი ღრუბლებში მალევე გაუჩინარდა. ღრუბლებში ხეტიალი ბავშვობაში (შეიძლება ახლაც) ვის არ სდომებია?! მე ასე ვიყავი – ჩემს ფერად და ჯადოსნურ ოცნებებში რომ ვიძირებოდი, მერე თავს ხან რომელ ღრუბელზე აღმოვაჩენდი ხოლმე, ხან რომელზე. ოცნებაც არის და ოცნებაც... ხან ისე ხდება, ზოგი – აგიხდება, ზოგი – არა, მაგრამ „ია-

ლონის“ ეს მოგზაურობა ოცნებაზე მეტი იყო – ამ წუთში ოცნებაც ამიხდა და ღრუბლებშიც ვიყავი.

ოცნება იქით იყოს და, ჩვენს მოგზაურობას განსაკუთრებული და საპასუხისმგებლო მიზანი ჰქონდა – ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაცია. ეს წასვლამდეც კარგად გვქონდა გაცნობიერებული, მაგრამ სანამ დანიშნულების ადგილზე ჩავიდოდით, გზაც ერთიანად სიხარულისა და ღელვის ემოციებით იყო დატვირთული.

ლანკასტერი – პირველი გაჩერება. ლამაზსახლებიანი და ყვავილებიანი მყუდრო ქალაქი, მზრუნველი მასპინძლებით. ჩვენი მასპინძლის ბალის სიმყუდროვეს წვიმის წვეთები ახმაურებდა და მე გულში ავლილდი: „აღარ გვინდა წვიმა-წყალი, ღმერთო მოგვეც მზისა თვალი“. წვიმამ მართლაც, მალე გადაიღო, თუმცა ვერ გეტყვით, რამდენად იყო ამაში ჩემი დამსახურება.

10 მაისი. ლანკასტერი. ვორკშოპი. დარბაზში უამრავი ადამიანია თავშეყრილი. ამ შეკრების მიზეზი – ქართული ტრადიციული მუსიკის შესწავლაა. საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ცნობისმოყვარე და თბილი მზერა გეგებება. ვორკშოპმა მშვენივრად ჩაიარა. მიზანი მიღწეულია – ლანკასტერში კიდევ ერთ ახალ სიმღერას იმღერებენ ქართული ტრადიციული მუსიკის ნიმუშებიდან.

კონცერტი: „მარგალიტნი მრავალსასყიდლისანი სიღრმით უმეცრებისადთ აღმოიტაცენ და ხმათა მიერ ანგელოზებრთა ეკლესიად ქართველთად კუალად განაშუენე...“ – ისმის ხმადაბალა, მოკრძალებულად და იმედიანად. ეს ყველა ჩვენი გამოსვლის თანმდევი, კულისებში. მას ანსამბლის ხელმძღვანელი, ქალბატონი ნინო წარმოთქვამს „იალონის“ წევრებ-შემორტყმული – ჩვენი საქმის კეთილად აღსრულებისათვის, მადლიერებისათვის – თითოეული შესაძლებლობისათვის, თითოეული დღისათვის.

კონცერტზე ჩვენი თქმული თუ უთქმელი სიხარული და დარდი, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებით გავუზიარეთ მსმენელს. სანაცვლოდ კი მათგან დიდი სიყვარული, სიხარულისა და აღტაცების ემოციები თუ სიტყვები მივიღეთ. ამ ყველაფერმა უსაზღვროდ გაგვაბენიერა. შემდეგი კონცერტებისათვის და ვორკშოფებისათვის სიხარულით დახუნძლულები გა-

ვემართეთ ედინბურგში, ჰეზდენ ბრიჯში, მანჩესტერში, ემპინგჰემში, მელონ მოვბრში, ჩიფინგვოდენში, კემბრიჯსა და ლონდონში.

რადგან, გამოცემის ფორმატიდან გამომდინარე, „იალონის“ ინგლისის ტურნეს ყოველი დღის ამბავს ვერ მოგიყვებით, გადავწყვიტე, მხოლოდ რამდენიმე ჯადოსნური დღე გაგიზიაროთ.



„იალონის“ ერთ-ერთი კონცერტი
დიდ ბრიტანეთში

16 მაისი. კემბრიჯი. „თითქოს ამ არეულ დროში ქართული სიმღერა ერთადერთი საშუალებაა სამყაროში მშვიდობის გასავრცელებლად“, ამბობს ჩვენი მასპინძელი, ქალბატონი მირანდა არმარ ბრაუნი. კემბრიჯში ქალბატონი მირანდასა და ბატონი ეშლინის ოჯახს აქამდეც არაერთი ქართველი მუსიკოსისათვის უმასპინძლია. უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ქართული ტრადიციული მუსიკა მათი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. სიმღერასთან ერთად, ქართული ენაც ისწავლეს. კემბრიჯში ჩვენს მასპინძლებთან ერთად ბევრი დასამახსოვრებელი წუთი გავატარეთ, მათგან ერთ-ერთი თქვენც მინდა გაგიზიაროთ.

ქალბატონ მირანდასა და ბატონ ეშლინის სასტუმრო ოთახი. როიალზე დევს რამდენი წიგნი. როიალის მშვენიერებით მოხიბლულმა გადავწყვიტე, მივახლოვებოდი და რამდენიმე კლავიშს შევხებოდი.

მიახლოებისთანავე, თვალში მომხვდა ქართული წარწერები წიგნებზე. ჩემს წინ ედიშერ და გიორგი გარაყანიძეების წიგნები იდო. ეს იყო ძალიან ბედნიერი წუთები, რომლებიც, ვფიქრობ, არასდროს დამავიწყდება... ედიშერ გარაყანიძე კემბრიჯში და სხვა ქალაქებში რომ ლექციებს კითხულობდა და ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაციას ეწეოდა საზღვარგარეთ (ალარაფერს ვამბობ საქართველოზე), გალობის უნივერსიტეტში სწავლისას გვიყვებოდნენ ჩვენი პედაგოგები. მაშინ რადაცნაირად ვერ გავიაზრე, როგორ ახერხებდა ეს ძვირფასი ადამიანი ამ ყველაფერს, თანაც როგორ ხარისხში... ჰოდა, ეს წიგნები რომ დავინახე, გამახსენდა გალობის უნივერსიტეტიდან ის საუბრები და ყველაფერი ნათელი გახდა... ედიშერის გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, ისევე, როგორც ჩვენთან, საქართველოში, მათაც გიგი დაიგულეს იმედად, მაგრამ... მათდამი სიყვარული ქალბატონ მირანდასა და ბატონ ეშლინის დროსა და მანძილის მიუხედავად, არ განელებიათ, რადგან ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელების ხსენებისას თვალები უსაზღვრო სიყვარულით უციმციმდებათ.

18 მაისი. ლონდონი. დღეს King's Place-ის საკონცერტო დარბაზში, ანსამბლ „იალონის“ საკონცერტო პროგრამით Songlines Encounters Festival-ი გაიხსნა. ამ ისტორიულმა კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა. თითოეული ემოცია, თითოეული სიტყვა, რომელიც მსმენელებისგან, ძველი თუ ახლადშემძენილი გულშემატკივრებისგან მივიღეთ, ჩვენთვის უძვირფასესი განძია.

23 მაისი. თბილისი. სამშობლოში უსაზღვროდ ბედნიერები დავბრუნდით. მჯერა, დიდი ბრიტანეთის ტურნეში მიღებული გამოცდილება თითოეული „იალონელისათვის“ განსაკუთრებული მნიშვნელობის იქნება და მას ჩვენი პროფესიული ზრდისთვის გამოვიყენებთ.

თეონა ბენაშვილი

ანსამბლ „იალონის“ წევრი,
გალობის უნივერსიტეტის საეკლესიო
მუსიკისმცოდნეობის მაგისტრი

ცოტა რამ ჩვენ ხალხურ სიმღერებზე

„ის თემა, რომელზედაც საუბარი გვიხდება, არც ისე ადვილი საგანია... მასზე მრავალი თქმულა და მრავალი აზრია წამოყენებული. მაგრამ უადგილო არ იქნება, თუკი მეც შევუდგები მისი ზოგიერთი მხარეების განხილვას, ყოველ შემთხვევაში მე, როგორც ლოტბარს და სახალხო მომღერალს, მაქვს ამის უფლება, ვინაიდან საკითხს თუ სავესებით ვერ გავაშუქებ, დამარხულ აზრებს მაინც გამოვსთქვამ.

კონკრეტულად, საქმე გვაქვს ხელოვნების იმ მთავარ დარგთან, რომელსაც მუსიკა ეწოდება... რომელიც ყველას ასე თავგამოდებით უყვარს... ჩვენ ვიცით, რომ მუსიკის განვითარებამ მრავალ შედეგს მიაღწია. თუ კი ის ოდესღაც ერთი კანაფის ბაწრის სიმიდან დაიწყო, დღეს, მეოცე საუკუნეში, ის მოგვცა უფრო დასრულებულ ფორმაში მრავალრიცხოვანი კლავიშების სახით. შეიძლება დღეს ბეთჰოვენის, მოცარტის და ვაგნერ-შოპენის ნოტები მსოფლიოს აგიჟებდეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მას თან ახლავს თავისი განუყრელი ორეული – „სახალხო მუსიკა“, რომელიც იმართება თვით ხალხის გულში და, რომელიც, მიუხედავად თავისი „უკულტურობისა“, ამ ხნის განმავლობაში, ძლიერი და ხერხემალგამაგრებული რჩება.

ჩვენ აქ შევეხებით სწორედ „სახალხო მუსიკას“... მისი მთავარი ნაწილი არის სიმღერა-გალობა. საქართველოში ის ჩვენ გვევლინება შვიდი სახით: ქართლ-კახური, სვანური, აფხაზური, ფშავ-ხევსურული, იმერული, მეგრული და გურული. შვიდივე მხარეში, როგორც ყველგან, აქაც ერთი ჭირისუფალი ჰყავს მას, სახელდობრ, ის ხალხი, რომელიც ჭირსა და ღვინის ერთნაირად განიცდის. ჩვენი ხალხური მუსიკა ყველას თავისუფლად ესაუბრება...

პირველად ჩვენ დავიწყებთ განხილვას იმერეთისა და ამერეთის მუსიკისა.

ყველა ქართველისათვის ცხადია, რომ იმერთა ტურფა ქალაქი ქუთაისი იხუტებდა გულში მთელ დასავლეთ საქართველოს და ისმენდა ყველა მის ჭირსა და ღვინს. ჩვენი ხალხური მუსიკა მდიდარი, შინაარსიანი და საყვარელი საგანია... მაგრამ, სამწუხაროდ, თუ ოდესმე იმერთა დედაქალაქში მოისმენდით სხვადასხვა კუთ-

ხის ნაირ-ნაირ სიმღერებს და თვით ქუთაისი იძლეოდა და გვასმენდა მეტად მდიდარს და მომხიბვლელს ქართულ ჰანგებს, როგორც საეროს, აგრეთვე სასულიეროს, დღეს (სავალალოდ), საკუთარი გაქრა სადღაც და ჩვენი სიმღერების ადგილი დაიჭირა უცხოთა სულ სხვა, ჩვენთვის გამოუცნობელმა ჰანგებმა. ასეთივე ბედი ხვდა სასულიერო გალობასაც... სწორედ ეს არის მთავარი საწინდარი ჩვენი ერის მაღალი კულტურულობისა და ასეთი განძი ჩვენ შეუმჩნევლად გვეკარგება. ზოგმა იქნებ კიდევ გვითხრას: რას ჩავაცივდით ამ ჩვენს სიმღერებს, რომელიც კატის კნავილს და მომაკვდავი კაცის ხრიალს უფრო გვაგონებს, ჩვენ უნდა მივდიოდეთ წინ და არა უკან, აი, ჩვენ უნდა მივბამოთ ევროპის მუსიკას და სხვასო.



ძუკუ ლოლუა

მე არა მგონია წინსვლა თავცარიელი, საკუთარის ქონების გარეშე შესაძლებელი იყოს. მე უკან იმიტომ კი არ ვიცქირები, რომ იქ შევჩერდე. არა, მოგახსენებთ, უკან გვრჩება ის ძვირფასი საგანძური, რომლის მსგავსი თვით ევროპასაც არა მგონია, ჰქონდეს. აი ესენი ამოვკრიფოთ, დავტვირთოთ საკუთარი კულტურით და გავსწიოთ წინ. მართალია, დღეს, როგორც საერთოდ, ისე ჩვენშიდაც, არის მეტი სიყვარული, გატაცება უცხოთა მუსიკის განვითარებისადმი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი კი დავიწყებას ეძლევა და ისიც უნდა აღვნიშნო, რომ, რაც ჩვენ ბაზარზე დღეს სიმღერები ისმის და ჩვენი მოზარდი თაობა ითვისებს, არა თუ გაევროპიელება, პირიქით, ბევრად უკან

ჩამორჩენა, დამცირება თავის თავისა, არ დაფასება საკუთარის და შეთვისება ისეთი სიმღერებისა, რომელსაც საერთო არაფერი აქვთ ევროპულ მუსიკასთან.

აბა, მოისმინეთ საეკლესიო, რუსულ-სლავიანურიდან გადაკეთებული მრავალჟამიერები, იაფფასიანი აზიური ჰანგები და განა ეს გაევიროპიელება არის?!... ყველა ზემო თქმულზე უფრო მეტი სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ იმერელს, როცა მეგრული სიმღერა ესმის, მას მისი არა გაეგება რა, თითქო გადამთიელი ვიღაცისად მიაჩნია და არა თავისად. ასეა გურული, სვანი, აფხაზი და სხვები. რა არის ამის მიზეზი? ყოფილი ბიუროკრატიული გამარუსებელი პოლიტიკა. იმ დროს ყველამ ვიციტ და გვახსოვს, ჩვენი ხალხის საყვარელი მგოსანი აკაკი გადმოდგა საჩხერის მაღალ ქედზე და გადმოგვმახა: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო.. ნეტავ რად ვმღერით ცალ-ცალკე. ოდელა-დელა დელაო“ და მოგვიწოდა ერთობისაკენ.

ბუკუ ლოლუა

1923 წელი. მასალა აღებულია წიგნიდან „ქართული ხალხური სიმღერის ისტატიკები“.

სამეგრელო. ტომი I. თბილისი, 2005

ერთი სიმღერის ისტორია

ქალო, ქალთა მზეო

გორიდან 6-7 ვერსის დაშორებით მდებარეობს სოფელი ხელთუბანი. სოფლის თავში ეკლესიაა. მის ახლოს პატარა, კონუსისებური ფორმის, ამაღლებული ადგილია; ეტყობა ქვა-კირისაგან შეზავება. აქ, უძველეს დროში, ჩაუქოლავთ ორი ახალგაზრდა, ნათესაური სისხლის შერევისათვის და ზედ გადაუსხამთ ადუღებული ქაფქაფა კირი... იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ ეს შეყვარებულნი, პეტრე პეტრიაშვილი მოგვითხრობს შემდეგს:

„ძველისძველად სოფელ ხელთუბანში ცხოვრობდა თურმე კარგად შეძლებული ოჯახიშვილი, გლეხი ცუკა. იგი მოხდენილი სიტყვა-პასუხის ადამიანი ყოფილა; ამასთან – პურმარილიანი და სოფელში კარგად მიღებული. ცუკას ჰყოლია სილამაზით განთქმული, ახალგაზრდა ცოლი,

ნინო. ისინი ჯერ უშვილონი ყოფილან, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტყებდნენ თურმე. იმედი ჰქონდათ, რომ უძეოდ არ გადაეგებოდნენ. ამ სოფელ ხელთუბანში სავაჭროდ დაიარებოდა ერთი ებრაელი შალვა. ამ შალვას ცუკას მიერ ბინად ჰქონდა გამოყოფილი ერთი პატარა ოთახი. ებრაელი ხანდახან რჩებოდა ხოლმე ღამ-ღამობით ამ მიწურ ოთახში, როცა ვერ ახერხებდა ცხინვალში წასვლას ცოლ-შვილთან. შალვა შინაურით იყო ცუკას ოჯახში. ნინოს, ცუკას ლამაზ ცოლს, სილამაზის გამო, შალვამ სახელი შეუცვალა, „ქალთა მზე“ უწოდა. ამის შემდეგ, ეს ახალი სახელი მთელ სოფელს მოედო. ნინოს „ქალთა მზეს“ ეძახდნენ...

იმავე სოფელში ცხოვრობდა გლეხი სანდალა. სანდალა კარგი მოცეკვავე და ფანდურზე დამკვრელი ყოფილა. იგი ხშირად დაიარებოდა ცუკასთან, სადაც ღამღამობითაც რჩებოდა თურმე, რადგან ნინოს როგორღაც ენათესავებოდა. ეს ყველამ იცოდა, ამიტომაც სანდალას ღამით დარჩენა ცუკას ოჯახში არავითარ ეჭვს არ ბადებდა სოფლის თვალში, თუმცა, სანდალას სახლი ორიოდ ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული ცუკას ბინიდან. სანდალასა და ნინოს – „ქალთა მზეს“ შორის სიყვარულის ცეცხლი გაჩაღდა. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. სანდალამ პირველმა იგრძნო რაღაც უხერხულობა. თითქოს რაღაც ემართებოდა. დაფიქრიანდა, თან უხალისოთ შეიქმნა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. შემდეგ კი მოუსვენრობაც ემართებოდა, როცა „ქალთა მზე“ ვერ ნახულობდა. ეხლა კი მიხვდა, რომ მას „ქალთა მზე“ უყვარდა. უძილობამ და ფიქრმა მთლად გადარია საწყალი ბიჭი. სულ თვალიწინ ელანდებოდა „ქალთა მზის“ სახე. მან შეწყვიტა სიარული ცუკას ოჯახში. ცუკამ სანდალას ფეხის ამოკვეთა მის მოუცლელობას მიაწერა. ალბათ, ვეღარ მოიცალა, რომ აღარ გვნახულობს ეს რამდენიმე ხანიაო. საბრალო სანდალა ფანდურზე დაკვრით იქარვებდა დარდსა და ბოღმას.

ბევრი მიწერ-მოწერის შემდეგ შეყვარებულებმა ჩუმად დაიწყეს შეხვედრა. შალვა ყველაფერს ხედავდა და გულს უკლავდა ცუკასგან მოსალოდნელი საყვედური. ფიქრობდა, როგორ გაემჟღავნებინა „ქალთა მზისა“ და სანდალას საქციელი. ბოლოს გადაწყვიტა, რაღაც უნდა დაჯდომოდა, გაემხილა ეს ამბავი და ერთხლაც უთხრა ცუკას:

„შენმა „ქალთა მზემ“ შეგარცხინა, სანდალა შეიყვარა; შენს სახლში მთელი ალიაქოთია, როცა შენ შინ არა ხარო“. ცუკა გაშრა ტყვიანაკრავით, დაერია „ქალთა მზესა“ და სანდალას და ორივე სასტიკად გალახა. ალიაქოთსა და ყვირილში მეზობლებიც შეიკრიბნენ. დათეთქვილ-დაჟეჟილი სანდალა და „ქალთა მზე“ ეკლესიის გალავანში შეიყვანეს და მკვდრებით დაყარეს, შემდეგ კარები გადაურაზეს და ყარაულები დაუყენეს. მეორე დღეს კი მოიწვიეს ყრილობა და ასეთი განაჩენი გამოიტანეს: „სოფლის შემარცხვენელები, სისხლის შემრევნი, ჩაიქოლონ და ზედ ადუღებული კირი გადაესხათო“.

სადაც ახლა სვეტია, იმ ადგილას ამოთხარეს თურმე დიდი და ღრმა ორმო. ხელებშეკრული, სახეგაფითრებული „ქალთა მზე“ და სანდალა მიიყვანეს და დააყენეს ორმოს ნაპირზე. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ახლომახლო სოფლებიდანაც კი მოვიდნენ ამ საზარელი სურათის სანახავად. უცბად ასტყდა ქვების რახარუხი, დაუშინეს „ქალთა მზესა“ და სანდალას. საწყლები მოსხვეპილივით გადაეშვნენ ხაროში. ქვები ტყვიასავით მიდიოდა.

შუამდის რომ ამოყორეს, მოიტანეს დიდი ქვაბებით ადუღებული კირი და საწყლებს ზედ გადაასხეს. კირი და ქვა, ერთმანეთში აირია-გაითქვიფა... ატეხილა საშინელი ქვითინი და წივილი. ბევრმა თურმე ვერ გაუძლო ამ საზარელ სურათს, გულწასული მოეშვა თურმე იქვე. ქვითინებდა დიდი თუ პატარა. ასეთი ხმებიც კი ისმოდა: ეს რა უღმერთობაა, განა ასეთი რა დააშავეს, რომ ასე ჯოჯოხეთურად აწამებენო. მაგრამ გვიანდა იყო.

იმ ადგილზე, სადაც ეს ორი უბედური ჩაადუღაბეს, აღიმართა სვეტი რამდენიმე წყრთის სიმაღლისა. მობინდდა, ხალხი დაიშალა გულმოკლული.

მასალა დამუშავებულია მაკა ხარბიანის მიერ, გიორგი სვანიძის წიგნიდან: „ქართლური ხალხური სიმღერები“. თბილისი, 2021

სიმღერა „ქალო, ქალთა მზეო“ სანდალას სასიყვარულო წერილის ტექსტზეა შექმნილი.

ქალო ქალთა მზეო
Kalo Kalta mzeo

First system of the musical score. It consists of three staves: a vocal line (treble clef), a piano accompaniment line (treble clef), and a bass line (bass clef). The key signature has two flats (B-flat and E-flat), and the time signature is 2/4. The lyrics are written below the piano and bass staves.

		გი - ცნობ ა - თი gi - tsnob a - ti	თვე - ო tve - o
ქა - ლო ქალ - თა ka - lo kal - ta	მზე - ო mze - o	გი - ცნობ ა - თი gi - tsnob a - ti	თვე - ო tve - o

Second system of the musical score. It consists of three staves: a vocal line (treble clef), a piano accompaniment line (treble clef), and a bass line (bass clef). The key signature has two flats (B-flat and E-flat), and the time signature is 2/4. The lyrics are written below the piano and bass staves.

მე - თერ-თმე - ტე me - ter - tme - t'e	და - მი-ბნე-ლე da - mi - bne - le	წუ - თი გახ - და ts'u - ti gakh - da	დღე - ო dghe - o
მე - თერ-თმე - ტე me - ter - tme - t'e	და - მი-ბნე-ლე da - mi - bne - le	წუ - თი გახ - და ts'u - ti gakh - da	დღე - ო dghe - o

Third system of the musical score. It consists of three staves: a vocal line (treble clef), a piano accompaniment line (treble clef), and a bass line (bass clef). The key signature has two flats (B-flat and E-flat), and the time signature is 2/4. The lyrics are written below the piano and bass staves.

მე - თერ-თმე - ტე me - ter - tme - t'e	და - მი-ბნე-ლე da - mi - bne - le	წუ - თი გახ - და ts'u - ti gakh - da	დღე - ო. dghe - o.
მე - თერ-თმე - ტე me - ter - tme - t'e	და - მი-ბნე-ლე da - mi - bne - le	წუ - თი გახ - და ts'u - ti gakh - da	დღე - ო. dghe - o.

ქალო, ქალთა მზეო,
გიცნობ ათი თვეო,
მეთერთმეტე დამიბნელე,
წუთი გახდა ღლეო.

ქალო, ქალთამზეო!
ამ ჩემს სახეზეო,
ქარაგმაი წაიკითხე,
მაუწყე რიგზეო.

ქალო, ქალთამზეო,
განმინათლე ღლეო,
შეხვედრა წუ დამიზამთრე,
წუ გამხადეტყვეო!

ქალო, ქალთამზეო,
ჩემო გრძნობის მზეო,
რომ მოგიკვდე, რასა ფიქრობ
საიქიოზეო!

ქალო, ქალთამზეო,
ხედავ, გავხდი ბზეო,
ქარმა რომ შემომიბეროს,
ამისერის ბანზეო.

ქალო, ქალთამზეო,
გიცნობ ათი თვეო,
მეთერთმეტეს წუ გაიყვან,
მომიდექ გვერდზეო!

kalo, kalta mzeo,
gitsnob ati tveo,
metertmet'e damibnele,
ts'uti gakhda dgheo.

kalo, kaltamzeo!
am chems sakhezeo,
karagmai ts'aik'itkhe,
mauts'qe rigzeo.

kalo, kaltamzeo,
ganminatle dgheo,
shekhvedra nu damizamtre,
nu gamkhadet'qveo!

kalo, kaltamzeo,
chemo grdznobis mzeo,
rom mogik'vde, rasa pikrob
saikiozeo!

kalo, kaltamzeo,
khedav, gavkhdi bzeo,
karma rom shemomiberos,
amisvris banzeo.

kalo, kaltamzeo,
gitsnob ati tveo,
metertmet'es nu gaiqvan,
momidek gverdzeo!

რედაქტორი:

მაკა ხარბიანი

ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ტმკსც-ის სპეციალისტი

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარბიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2023

eISSN-1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2023 წლის დეკემბერში